
პროგრამის მიმართულებების დეტალური აღწერა, პროგრამის ექსპერტები

თითოეული მოდული/მიმართულება მოიცავს 15-20 საათიან შეხვედრას ონლაინ რეჟიმში.

ონლაინ პროგრამის მიმდინარეობისას, მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ ჩანიშნონ ინდივიდუალური კონსულტაცია, კონსულტაცია ორგანიზაციისთვის კონკრეტულ თემაზე.

შერჩეული მონაწილეებისთვის სავალდებულოა კურსის მინიმუმ 80%-ზე დასწრება. ის მონაწილეები, რომლებსაც პროგრამის მიმდინარეობისას შუალედურ პერიოდში არ მიუღიათ მონაწილეობა შეხვედრების 40%-ზე მაინც, ვერ შეძლებენ პროგრამის გაგრძელებას და შემაჯამებელ ღონისძიებაში ან სამომავლო შესაძლებლობებში მონაწილეობის მიღებას.

1. კომუნიკაციები და ცნობადობის ამალგების კამპანიები

პროგრამის ექსპერტები:

ნინო ეგაძე

პროფილი: კრეატიული ლიდერი, 20+ წლიანი გამოცდილება ბრენდინგში, მარკეტინგსა და სტრატეგიულ კომუნიკაციებში; 10+ წლიანი გამოცდილება 300 ადამიანისგან შემდგარი მულტიინაციონალური გუნდის მმართველ/ხელმძღვანელ პოზიციაზე. 1000+ განხორციელებული სოციალური პროექტი, 1000+ განხორციელებული ღონისძიება 4 ქვეყანაში. ექსპერტული ცოდნა: სტრატეგიული კომუნიკაციები და ბიზნესის სტრატეგია, დიზაინი, კრეატიულობა და მმართველობა, სოციალური პასუხისმგებლობა (CSR), შიდა და გარე კომუნიკაციები, რეპუტაციული რისკი, ბრენდი, მარკეტინგი, კონტენტი, მომხმარებელთა გამოცდილება და UX/UI / Design.

ბეკი ფანცხავა

პროფილი: ბრენდისა და კომუნიკაციების სპეციალისტი, 15+ წლიანი გამოცდილება მარკეტინგის და კომუნიკაციების სფეროში, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ ბრენდზე. 5+ წლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში, არის მოწვეული ლექტორი კავკასიის უნივერსიტეტსა და ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. 2023 წელს შეუერთდა დიზაინ ინსტიტუტის გუნდს, როგორც მენტორი. გუნდთან ერთად მოპოვებული აქვს Red Dot Award, Brand Design Relaunch-ის კატეგორიაში და ოქროს ჯილდო Film Craft კატეგორიაში Ad Black Sea-ს რეკლამის საერთაშორისო ფესტივალზე.

+ მოწვეული მომხსენებლები, სფეროს ექსპერტები, რომლებსაც კურსის მონაწილეები გაიცნობენ და შეხვდებიან.

კურსის აღწერა:

კურსი უნიკალურია იმ მხრივ, რომ მას გაუძღვებიან მარკეტინგის სპეციალისტები, რომლებიც განსხვავებულ ხედვებსა და რჩევებს შესთავაზებენ არაკომერციულ სექტორში მომუშავე უფლებადამცველებს.

კურსი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- კომუნიკაციის მნიშვნელობა და სახეები
- საკომუნიკაციო სტრატეგია
- კომუნიკაციის არხები
- ციფრული კომუნიკაცია
- კრეატიული რესურსი და პროცესი
- კონტენტი
- რჩევები და კამპანიების მაგალითები
- სამუშაო/პრაქტიკული სესია

2. ციფრული და ფიზიკური უსაფრთხოება

ფიზიკური უსაფრთხოება

ექსპერტი: დავით მძინარიშვილი

პროფილი: ფიზიკური უსაფრთხოების ტრენერი, ფოტოჟურნალისტი. 20+ წლიანი გამოცდილება ჟურნალისტიკაში, სხვადასხვა ქვეყნებში მასობრივი არეულობების და საომარი მოქმედებების გაშუქება. 5+ წლიანი გამოცდილება ფიზიკური უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარებასა და კონსულტაციების გაწევაში ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველებისთვის.

კურსის აღწერა:

უფლებადამცველებს ხშირად უწევთ “მტრულ” გარემოში მუშაობა. მათი საქმიანობა შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ამა თუ იმ გავლენიანი აქტორების ინტერესებთან. შესაბამისად მათზე ზეგავლენის მიზნით ხშირია სხვადასხვა სახის მტრული ან არამეგობრული მოქმედებები. საფრთხეები შეიძლება მოდიოდეს სახელმწიფო ორგანოებისგან, მსხვილი კომპანიებისგან, რადიკალური დაჯგუფებებისგან, ადგილობრივი მოსახლეობისგან და ოჯახის წევრებისგანაც კი.

კურსის მიზანია საფრთხეების სწორად შეფასების და მათგან გამომდინარე რისკების შემცირების უნარ-ჩვევების გამომუშავება

კურსი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- რისკების ანალიზი
- უსაფრთხოების გეგმა და პროტოკოლები
- ოფისის უსაფრთხოება
- სიტუაციური ცნობიერება და პირადი უსაფრთხოება
- უსაფრთხოება მიტინგებისა და მასობრივი არეულობების დროს

ციფრული უსაფრთხოება

ექსპერტი: ნინო გამისონია

პროფილი: ციფრული უსაფრთხოების სპეციალისტი. ორგანიზაცია "Front Line Defenders"-ის სერტიფიცირებული ტრენერი ციფრულ უსაფრთხოებაში. აქვს ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ციფრული უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგების ჩატარების და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების 10+ წლიანი გამოცდილება.

კურსის აღწერა:

ციფრულ უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია უფლებადამცველებისთვის, რადგან ისინი ჩართული არიან სამართლიანობისა და თავისუფლების ადვოკატირების რთულ პროცესში. ისინი მოქმედებენ ისეთ გარემოში, სადაც სენსიტიური ინფორმაცია მათი მუშაობის ბირთვია. მათი ონლაინ კონფიდენციალურობის დაცვა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც უფლებადამცველებს თვალთვალისა და პოტენციური შევიწროების საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ. ციფრული უსაფრთხოების შესახებ ცოდნის გაღრმავებით და პრაქტიკული გამოყენებით, უფლებადამცველებს შეუძლიათ შეამცირონ რისკები, დაიცვან როგორც საკუთარი ასევე მათი ბენეფიციარების კეთილდღეობა, სენსიტიური თუ კონფიდენციალური ინფორმაცია.

მეტიც, ციფრული უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ამაღლება გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი ონლაინ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორცაა „ჰაკინგი“, „დოქსინგი“ და დეზინფორმაციული კამპანიები, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის უფლებების ადვოკატირების სანდოობასა და ეფექტურობას. ნდობა უფლებადამცველებისთვის ფუნდამენტური საკითხია სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებსაც ისინი ემსახურებიან, უსაფრთხო ციფრული საკომუნიკაციო პლატფორმები ეხმარება მათ ამ ნდობის შენარჩუნებაში. მაშინ როდესაც უფლებადამცველები სულ უფრო მეტად იყენებენ ციფრულ არხებს კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის, ამ პლატფორმების სანდოობა უმნიშვნელოვანესია.

კურსი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ჩემი ციფრული რისკები.
- ჩემი პაროლები და წვდომის დაცვა
- ჩემი მოწყობილობები და მათთან უსაფრთხო წვდომა
- ჩემი მონაცემები და მათი უსაფრთხო მართვა
- ჩემი საუბრები და უსაფრთხო კომუნიკაციები
- ჩემი ციფრული იდენტობა

3. სტრესის მართვა და გადაწყვეის საწინააღმდეგო ტექნიკები

**„მედეგობა, საკუთარ თავზე ზრუნვა და ურთიერთმხარდაჭერა“
ციფრული კურსი უფლებადამცველებისთვის**

პროგრამის ექსპერტები:

ლელა ცისკარიშვილი

პროფილი: ფსიქოლოგი და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) აღმასრულებელი დირექტორია. 2020-2023 წლებში იყო წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი (IRCT).

მაია ცირამუა

პროფილი: ფსიქოთერაპევტი და კლინიკური სუპერვაიზერია. 2005 წლიდან მუშაობს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრში (GCRT). აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. არის არაერთი პუბლიკაციისა და პრაქტიკოსთა სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

კურსის აღწერა

უფლებადაცვით სფეროში მუშაობა ბევრ სტრესორთანაა დაკავშირებული, რაც ზრდის ისეთი გავრცელებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების რისკს, როგორცაა შფოთვითი აშლილობა, დეპრესია და პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა. ციფრული 6 კვირიანი კურსის „მედეგობა, საკუთარ თავზე ზრუნვა და ურთიერთმხარდაჭერა“ მიზანია ხელი შეუწყოს უფლებადაცვით სფეროში ჩართულ ადამიანებს საკუთარი ფსიქიკური თუ ემოციური მდგომარეობების გაცნობიერებაში, მათ მართვაში, მედეგობის გაღვივებაში, მადლიერების განცდისა და საზრისის შემცველი ურთიერთობების შენებაში.

შემოთავაზებული ონლაინ კურსის განმავლობაში, თქვენ ნელ-ნელა შეისწავლით და დაეუფლებით:

- სხეულისა და სუნთქვის ცნობიერების ბაზისურ ელემენტებს;
- ემოციების ამოცნობასა და მართვას;
- სააზროვნო პროცესების დინამიკას;
- სტრესის წყაროების იდენტიფიცირებასა და მასთან გამკლავების სხვადასხვა ტექნიკას.

პროგრამის მონაწილეებისთვის ორ კვირაში ერთხელ მოეწყობა დახურული შეხვედრები ონლაინ-პლატფორმის გამოყენებით, სადაც დაცულ და უსაფრთხო სივრცეში კურსის ავტორები გასცემენ პასუხებს თქვენს შეკითხვებს.

კურსი მოიცავს:

- 6 „live“ შეხვედრას ფსიქოლოგებთან ონლაინ რეჟიმში
- წვდომას უფლებადამცველებისთვის „აისის“ მიერ სპეციალურად შემუშავებულ ონლაინ ფსიქოსაგანმანათლებლო კურსზე (მოიცავს ვიდეო ლექციებს, ტექსტური მასალას, წერილობითი საშინაო დავალებებს, დღიური მედიტაციებს)
- 2-დღიან შემაჯამებელ სესიას ფიზიკურ ფორმატში